



შირაკი



SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№ 28 (10.133)

10-17 აპრილი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ოგუი დასაფლავი გმირები გაიხსენეს

2008 წლის აგვისტოს ომის 16 წლისთავთან დაკავშირებით დედოფლისწყაროში სამგლოვიარო მსვლელობა გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გონა სამუკაშვილმა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული დედოფლისწყაროელი გმირების ოჯახის წევრებმა, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა მიიღეს.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გარდაცვლილ გმირთა მემორიალთან აგვისტოს ომში გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი აღეწვინა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული მამულიშვილების ღვაწლზე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს წევრმა მიხეილ ბახუტაშვილმა ისაუბრეს, მათ აგვისტოს ომში დაღუპულთა მშობლებსა და ოჯახის წევრებს ღირსეული მამულიშვილების აღზრდისთვის მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადეს.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „ვაჟკაცი ბიჭები ახალგაზრდულ ასაკში აღესრულნენ და თავიანთი სიცოცხლით უმთავრესი რამ გვაჩუქეს, ქვეყნის დამოუკიდებლობა. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო გმირის დედას, ღია აბიათარს, რომელიც ყოველწლიურად აქ გვესწრება. მან ერთადერთი შვილი აღზარდა და ისიც გმირად გაუზარდა სამშობლოს. გიორგი აბიათარი დედისერთა იყო, არ ეკუთვნოდა განვევა, არავის უთქვამს ომში წამოდიო, მაგრამ წავიდა. ორი მიზეზი ჰქონდა, სამშობლო რომ დაეცვა და თავის მეგობრებთან და თანასოფლელებთან ერთად ყოფილიყო. ესაა გმირობის მაგალითი, რომელსაც ხშირად უნდა ვიხსენებდეთ და ბავშვებს



ვუამბობდეთ. ამ მემორიალზე 12 ვაჟკაცის გვარია ამოტვიფრული, თორმეტივეს წინაშე ქედს ვიხრით და პატივს მივაგებთ. ვისურვოთ, რომ ომი აღარ გვენახოს ჩვენს სამშობლოში. მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ თქვენგანს, რომ წლების მატების მიუხედავად, ყოველწლიურად ვიკრიბებით მემორიალთან და მათი გმირობის წინაშე ქედს ვიხრით.“

ანი კიკილაშვილი (სამხედრო აღრიცხვისა და რეკრუტირების სააგენტოს დედოფლისწყაროს ფილიალის უფროსი): „ჩვენს პატარა სამშობლოში ყოველთვის გამოიძენებთან გმირები, რომლებიც თავის სახელს ტოვებენ. ისინი ყოველ წუთს მზად არიან, რომ ნებისმიერ ფასად დაიცვან საკუთარი სამშობლო, ისტორია და ოჯახი. მადლობელი და

ამაყი ვარ გმირების სიმრავლით. ვიმედოვნებ, რომ ჩვენც იმ გზას გავყვებით, რასაც გმირების გზაზე სიარული ჰქვია.“

ამან ბიორბი მაქალარაშვილი: „მჯერა, რომ გმირების სიცოცხლე ფუჭად არ შეწირულა. მათ მაგალითზე თაობები იზრდება, ვსწავლობთ, მათი ხსოვნისთვის პატივის მიგებაც ამის დასტურია. სამშობლოსთვის თავდადება ყველაზე დიდ მსხვერპლს ნიშნავს, უნდა გაიღო საკუთარი თავი მოყვასისთვის. ამიტომ, ჩვენ ვლოცულობთ მათთვის. ეს საქციელი უკვდავსაყოფი იქნება, ღმერთმა მოიხსენოს მათი სული.“

ილია მარტყოფლიშვილი

სამუხის ველზე ქურციკების მათმე თაობა დაიბადა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების დაცულ ტერიტორიაზე ქურციკების მათმე თაობა დაიბადა! ბოლო მონაცემებით, მათი რაოდენობა უკვე 400-ს ინდივიდს აჭარბებს.

როგორც გაზეთ „შირაქს“ დაცული ტერიტორიების სააგენტოდან აცნობეს, ამ დროისთვის პატარა ლიკლიკები თავს შესანიშნავად გრძნობენ.

სპეციალისტების განმარტებით, ახალშობილი ქურციკები, დაბადებიდან 2-3 კვირის განმავლობაში რთული საპოვნელია. ისინი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, სწრაფი ნახტომებით ტოვებენ სამალავს.

ქურციკები ძალიან ფრთხილი და ცნობისმოყვარე არსებები არიან. დედა ქურციკიც, მხოლოდ იმ შემთხვევაში უახლოვდება ლიკლიკას, თუ საფრთხეს არ გრძნობს.

ქურციკი, იგივე ჯირიანი, გასული საუკუნის 60-იან წლებში გადაშენდა.

2013 წლიდან, ვაშლოვანის ეროვნულ პარკში, საქართველოს მთავრობისა და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის WWF-გერმანიის და WWF-ავსტრიის ინიციატივით, გერმანიის მთავრობის (BMZ, KfW) ფინანსური მხარდაჭრითა და აზერბაიჯანის მთავრობის აქტიური ჩართულობით, ქურციკის აღდგენის პროექტი წარმატებით ხორციელდება. მანამდე ქურციკების აღდგენის პროგრამა ვოლიერებში გამოზრდით სცადეს, თუმცა ამ მეთოდმა არ გამართლა და მას შემდეგ ლიკლიკები ამ ტერიტორიაზე ღიად გაუშვეს. ასე ცხოველს მეტი საფრთხე ემუქრება, თუმცა, როგორც ჩანს ეს ბუნებრივი



მეთოდი ბევრად ამართლებს. დედოფლისწყაროში კიდევ ერთი დაცული ტერიტორია 2023 წლის იანვრიდან ამოქმედდა. დედოფლისწყაროში დაცული ტერიტორიების ზრდის აუცილებლობა მას შემდეგ დადგა, რაც ბოლო წლებში ადგილზე ქურციკების თაობების გამრავლება მოხერხდა, მათი გადარჩენისთვის კი დაცული გარემო აუცილებელია. რამდენიმე წლის წინ ქურციკი ბრაკონიერების მსხვერპლი გახდა, სწორედ ამიტომ, ვაშლოვანთან მდებარე სამუხის ველს დაცული ტერიტორიების სტატუსი მიენიჭა. ეს საქართველოში პირველი მრავალმხრივი გამოყენების დაცული ზონაა. სამუხის ველი 13 273.43 ჰექტარია. სამუხის ველზე გავრცელებულია ისეთი სახეობები, რომლებიც თვითონ ვაშლოვანის ნაკრძალისა და ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არ გვხვდება. სამუხის ველი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ჰაბიტატს ქურციკისთვის და იდეალურად შეესაბამება.

ილია მარტყოფლიშვილი

გაეროს მუდმივი კოორდინატორი კახეთს ეწვია

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი საქართველოში გაეროს მუდმივი კოორდინატორს დიდი ტელეფონის შეხვედა

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ, გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე, მხარეებმა კახეთის რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის, დარგში არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე იმსჯელეს.

გიორგი ალადაშვილმა გაეროს დელეგაციის წარმომადგენლებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა კახეთის რეგიონში ეკონომიკის, სოციალური, ჯანდაცვის, განათლებისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით არსებულ ვითარებაზე. აქცენტი გაკეთდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განახლების მიმდინარე და დაგეგმილ სამუშაოებზე.

შეხვედრას გაეროს მოსახლეობის ფონდის ოფისის ხელმძღვანელი მარიამ ბანძელაძე, RCO განვითარების კოორდინატორი ოფიცერი დავით მუშუკუდიანი,



გაეროს განვითარების პროგრამის ეკონომიკური განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელი გიორგი ნანობაშვილი და გაეროს მოსახლეობის ფონდის კომუნიკაციებისა და პარტნიორობის ანალიტიკოსი სალომე ბენიძე ესწრებოდნენ.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა მუშაობის ერთობლივი მიმართულებები განსაზღვრეს და სამომავლო, მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

„5-ჯერ გაიზარდა გადამუშავებული ყურძნის ოდენობა, 4-ჯერ ექსპორტი“

„ჩვენი მიზანია, სრულად დაბინავდეს მოსავალი და მევენახეებმა შეუფერხებლად შეძლონ ყურძნის რეალიზაცია, ხოლო ღვინის ინდუსტრიამ გააგრძელოს სტაბილური განვითარება“ – ამის შესახებ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგია მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მთავრობის გადაწყვეტილებით, რთველი 2024-ის ფარგლებში, სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებს ის კომპანია, რომელიც 2024 წლის რთველის განმავლობაში შეიძენს და გადაამუშავებს კახეთის რეგიონში მოწეულ არანაკლებ 100 ტონა რქანითელის ჯიშის ყურძენს და შესყიდული 1 კგ. ყურძნის სანაცვლოდ, ჩამბარებელ მევენახეს გადაუხდის არანაკლებ 1.00 ლარს. კახეთის რეგიონში, მევენახის მიერ მოწეული ყურძნის შესყიდვის სანაცვლოდ, კომპანიებზე გასაცემი სუბსიდია შეადგენს 0,20 ლარს;

მინისტრმა წარმატებები უსურვა მევენახეებს და ღვინის მწარმოებლებს. მისი ინფორმაციით, 2024 წელს ყურძნის საპროგნოზირებადი მოსავალი 300 ათას ტონას აღწევს.

„ჩვენ 10 წელზე მეტია აქტიურად ვეხმარებით მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებას და არაერთ პროგრამას ვახორციელებთ ამ მიმართულებით, რაზეც დეტალურად ისაუბრა პრემიერ-მინისტრმა. ამ პერიოდში 5-ჯერ არის გაზრდილი გადამუშავებული ყურძნის რაოდენობა და 4-ჯერ არის გაზრდილი ექსპორტი. 2023 წელს ღვინისა და სპირტიანი სასმელების ექსპორტმა 455 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც არის რეკორდული მაჩვენებელი. 43-დან 66 -მდეა გაზრდილი საექსპორტო ქვეყნების გეოგრაფია; ბოლო წლებში, ყოველწლიურად მევენახეები 300 მლნ ლარამდე შემოსავალს იღებენ ყურძნის რეალიზაციიდან და ფიქრობთ, რომ წელს ეს შემოსავალი კიდევ უფრო მაღალი იქნება. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე არის სახელმწიფოს და კერძო სექტორის აქტიური თანამშრომლობის და ჩვენი მხრიდან მხარდაჭერი პროგრამების განხორციელების შედეგი. დარგის მხარდაჭერას ვაგრძელებთ“, – აღნიშნა ოთარ შამუგია.

წნორი-ბაკურციხის

ბაკურციხე-წნორის ახალი 18 კმ-იანი მაგისტრალური გზის მშენებლობა დასრულდა და გზა ავტოტრანსპორტისთვის გაიხსნა. აშენდა 18 კმ-იანი ასფალტ-ბეტონის 2-ზოლიანი მაგისტრალური გზა, 6 ხილითა და გარე განათების სისტემით, სადაც, საქართველოში პირველად, გამოყენებულია ენერგოეფექტური შიზის პანელები.

ბაკურციხე-წნორის გზა, ალაზნის ველის მხარეს აშენდა და საერთაშორისო მაგისტრალური საგზაო მარშრუტის - თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი - შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ახალი გზა გვერდს უვლის მჭიდროდ დასახლებულ ქალაქ წნორსა და 6 მიმდებარე სოფელს: ბაკურციხეს, კარდენახს, ანაგას, ვაქერს, მაშნარს და საქობოს.

ახალი გზის გახსნამდე, ავტოტრანსპორტი მოძრაობდა 7 მჭიდროდ დასახლებულ პუნქტში და გამოირჩეოდა მაღალი ინტენსივობითა და მხარდი


ახალი გზა გაიხსნა

საერთაშორისო სატრანსპორტო მოძრაობით. შესაბამისად, არ იყო უზრუნველყოფილი საგზაო უსაფრთხოებისა და საერთაშორისო საგზაო მოძრაობის ნორმები.

ბაკურციხე-წნორის მიმართულებით მოძრავე ავტოტრანსპორტს აღარ მოუწევს წნორში და მიმდებარე სოფლებში გავლა. სატრანსპორტო ნაკადები გადაინაცვლებს ბაკურციხე-წნორის მაგისტრალურ გზაზე, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საგზაო მოძრაობისა და უსაფრთხოების სტანდარტს.

საგზაო უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტებით აშენებული ბაკურციხე-წნორის ახალი მაგისტრალური გზა სამჯერ ამცირებს გადაადგილების დროს და 2.5-ჯერ ზრდის ავტოტრანსპორტის გამტარობას.

ბაკურციხე-წნორის მაგისტრალური გზის მშენებლობა საქართველოს მთავრობისა და აზიის განვითარების ბანკის (ADB) ერთობლივი დაფინანსებით განხორციელდა და მისმა ღირებულებამ 87.8 მილიონი შეადგინა



ქართული ღვინის პოპულარიზაციის ღონისძიებების 6 თვის მონაცემები

მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში, ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით, ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო საქართველოსა და მსოფლიოს 12 ქვეყანაში (აშშ, პორტუგალია, ნორვეგია, იტალია, ნიდერლანდები, იაპონია, პოლონეთი, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, ჩინეთი) სხვადასხვა ღონისძიებაზე, მათ შორის 57 დეგუსტაციაზე, ერთ საერთაშორისო კონკურსზე, 17 გამოფენასა და 9 ფესტივალზე.

საერთაშორისო მარკეტინგული კამპანიების პარალელურად, ღვინის ეროვნული სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო პროგრამას „ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა“, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მასშტაბით დაგეგმილი ქართული ღვინის ფესტივალების, თემატური გამოფენების, კონკურსების, საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსებას. პროგრამის მიზანია, ადგილობრივ ბაზარზე ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ღონისძიებების სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმი იყოს უფრო მოქნილი და გამჭვირვალე. პროგრამის ფარგლებში, 2024 წლის განმავლობაში, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით 22 ღონისძიება გაიმართება.

მიმდინარე წლის 6 თვეში, სახელმწიფოს დაფინანსებით, უკვე გაიმართა სხვადასხვა სახის 6 ღონისძიება.

ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი 2024 წელს 16 მილიონი ლარით განისაზღვრა, რაც 2 მილიონი ლარით აღემატება 2023 წლის ბიუჯეტს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მასშტაბით ღვინის გამოფენების, კონკურსების, ტურებისა და ფესტივალების ჩატარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ღვინის ტურიზმის განვითარებას და ადგილობრივ მოსახლეობაში ბოთლის ღვინის მოხმარების კულტურის ზრდას.

ქართული ღვინის პრიორიტეტულ ბაზრებად რჩება აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ჩინეთი, სამხრეთ კორეა და იაპონია. აღნიშნულ ბაზრებზე, ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო, კონტრაქტორ მარკეტინგულ კომპანიებთან ერთად, სხვადასხვა ღონისძიებას ახორციელებს. ამასთანავე, ქართული ღვინო წარმოდგენილია ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოფენასა და ფესტივალზე როგორც ამერიკის, ისე ევროპისა და აზიის ქვეყნებში.

სომხეთი, ირანი და ინდოეთი საქართველოს გავლით ახალ სავაჭრო მარშრუტს ქმნიან



სომხეთი, ირანი და ინდოეთი ახალი სავაჭრო მარშრუტის ჩაშვებას გეგმავენ. როგორც სომხური მედია წერს, ეს იქნება ნამდვილი გარღვევა საერთაშორისო ლოჯისტიკაში.

გამოცემის ცნობით, სამივე ქვეყნის წარმომადგენლები უახლოეს მომავალში შეხვედებიან ერთმანეთს. უკვე ცნობილია, რომ შეხვედრა ირანის ტერიტორიაზე შედგება.

რაც შეეხება მარშრუტს, ის ინდოეთში, მუმბაის პორტიდან ირანის ჩაბაჰარის გავლით სომხეთის ტერიტორიაზე გაი-

ვლის და საქართველოში შემოვა, საიდანაც პროდუქტები ევროკავშირის ქვეყნებში გავა.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ახალი სავაჭრო კორიდორი ოთხჯერ შეამცირებს ლოჯისტიკურ ხარჯებს, ხოლო გადაზიდვის დრო ორჯერ შემცირდება - 40 დღიდან 18 დღემდე.

ანალიტიკოსების აზრით, აღნიშნული პროექტის წარმატებული რეალიზაცია ასევე განიხილება, როგორც არსებული საზღვაო მარშრუტების პერსპექტიული ალტერნატივა, მათ შორის სუეცის არხის გავლით.

ქვეყნები, სადაც ქართველების უმეტესობა მოგზაურობს

2024 წლის მე-2 კვარტალში საქართველოს ტერიტორიიდან დაფიქსირდა საქართველოს რეზიდენტი მოგზაურების 697.8 ათასი გასვლა საზღვარგარეთ. ამის შესახებ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიდან ირკვევა.

მათივე ცნობით, აღნიშნული რაოდენობიდან საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებულმა ვიზიტებმა 3 562.1 ათასი შეადგინა, რაც 3.4 პროცენტით მეტია 2023 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

ამასთან, საქსტატის ცნობით, საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელდა 360.2 ათასი ტურისტული ტიპის ვიზიტი, რაც 8.6 პროცენტით მეტია წინა წლის

ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ოფიციალური მონაცემები, მიმდინარე წლის მე-2 კვარტალში საქართველოდან საზღვარგარეთ ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თურქეთსა და რუსეთის ფედერაციაში, შესაბამისად, 229 ათასი და 105.4 ათასი ვიზიტი.

2024 წლის მე-2 კვარტალში საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის პროცენტული განაწილება მონახულებული ქვეყნების მიხედვით:

- თურქეთი - 39%;
- რუსეთის ფედერაცია - 18%;
- ევროკავშირის წევრი ქვეყნები - 15,9%;
- სომხეთი - 11.9%;
- აზერბაიჯანი - 2.6%;
- სხვა ქვეყნები - 12.7%.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაციის მუშაობის რეაბილიტაცია დაიწყო

დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია დაიწყო. თვეზე მეტია სარემონტო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტი ქ. დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია - მისი გადაქცევა მრავალფუნქციური მიზიდულობის ცენტრად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ-ის დაფინანსებით ხორციელდება. სამუშაოებს ჯამში ნახევარ მილიონამდე ლარი მოხმარდება. წლის ბოლომდე დედოფლისწყაროს თანამედროვე ტიპის საგამოფენო სივრცე ექნება.



ამას ისიც ემატება, რომ 2021 წელს არქეოლოგმა კიაზო ფიცხელაურმა მის მიერ წლების მანძილზე აღმოჩენილი ექსპონატები საჩუქრად გადმოგვცა და ჩვენი ფონდი კიდევ უფრო გაიზარდა. სულ რამდენიმე თვის წინ ჭერიდან ნალექი ჩამოდიოდა, კედლებიდან წესტი შემოდოდა და ექსპონატებისთვის ეს შესაბამისი გარემო არ არის. ახლა კი ამ პროექტის ფარგლებში მოხერხდება თანამედროვე სტანდარტების დაცვით მოწყობის ყველაფერი, იყოს თაროები, გათვალისწინებული ავეჯიც. ივლისიდან დამთავლიერებულ ველარ ვილებში, მუზეუმი სტუმრებისთვის დაკეთილია და პირდაპირ ახალ სივრცეში დაინიშნება მუშაობას. სამუშაოებისთვის პროექტის მიხედვით 6 თვეა გათვალისწინებული, მაგრამ იმდენად ოპერატიულად მუშაობენ, ვვარაუდობთ, რომ 4 თვეში დაასრულებენ. ახლა სარემონტო სამუშაოები დარბაზებში მიმდინარეობს, ყველაფერი უკანა ოთახებში გვაქვს გატანილი, შემდეგ იქით დაინიშნება მუშაობას. 4 ახალი დარბაზი გვექნება და კორიდორიც კეთილმოწყობა. შუა დარბაზშიც, სადაც ფანჯრები არ გვაქვს მთლიანად საგამოფენო თაროები დამონტაჟდება. ყველა ოთახის რეაბილიტაციაა გათვალისწინებული. ვინაიდან წესტი ჩვენი მუდმივი პრობლემა იყო და ნალექის დროს გვანუხებდა, ახლა მთელს შენობას საძირკველთან სპეციალური

გარემო ვიზიტორთა ნაკადების მოსაზიდად. გამოფენების, შემოქმედებითი საღამოების მოსაწყობად, სამეცნიერო კონფერენციების ჩასატარებლად, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო წრეების, შემოქმედი ადამიანების, სტუდენტი-ახალგაზრდობის მოზიდვას და ინტეგრირებულ ადგილობრივ განვითარებას. ასევე, ბიზნესის სფეროში მოქმედი ადგილობრივი მენარმე სუბიექტების მას კულტურულ და შემოქმედებით ტურიზმთან, რეგიონის პოპულარიზაციას, მოსახლეობის ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებას მუნი-

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელი პროექტს მნიშვნელოვანს უწოდებს და მიმდინარე სამუშაოებით კმაყოფილია.

ლალი გურასპაული (მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელმძღვანელი): „ეს ჩვენი დიდი ხნის ოცნება იყო. უფრო გულწრფელი რომ ვიყო, ოცნებაშიც არ წარმოგვედგინა, თუ ასე საფუძვლიანად მოხერხდებოდა მუზეუმის კეთილმოწყობა და მივიღებდით ევროპული სტანდარტების შესაბამის საგამოფენო დარბაზს. როცა სხვა მუზეუმებს ვსტუმრობდით, გული გვკნებოდა, რომ ჩვენ სათანადო პირობები არ გვქონდა. მოგეხსენებათ, ეს უძველესი შენობაა, რომელიც სხვა დანიშნულებით აშენდა და არაერთი პრობლემა იქმნებოდა. ვერ ვახერხებდით ექსპონატების სრულად გამოფენას. არ გვქონდა არც სათანადო სივრცე და არც საგამოფენო თაროები, რომ რაიონის ისტორიული სიმდიდრე სრულად წარმოგვედგინა. ჩვენი საგანძურის დიდი ნაწილი ამ დრომდე დასაწყობებულია და მის წარდგენას ვერც ადგილობრივებთან და ვერც ტურისტებთან ვერ ვახერხებდით. ისედაც ბევრი ექსპონატი გვაქვს,



სარტყელი გაუკეთდა, რომელიც წესტიდან დაგვიცავს. ჭერის გადახურვის სამუშაოები ორი კვირის წინ დასრულდა და ახალი ჭერი გვაქვს, ევროსტანდარტების შესაბამისი სივრცე იქნება, შუბ პირებისთვის ადაპტირებული. დიდი მილოდინი გვაქვს და მოუთმენლად ველით სამუშაოების დასრულებას, რომ სტუმრებს ახალ სივრცეში ვუმასპინძლოთ“.

პროექტი მიზნად ისახავს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაციის გზით, შექმნას ხელსაყრელი

ციბალიტეტის მდგრადი ეკონომიკური განვითარების ჭრილში.

პროექტის პრეზენტაცია და მოსახლეობისთვის გაცნობა 2023 წელს დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმართა. პროექტი დედოფლისწყაროს მერიის უფროსმა სპეციალისტმა საერთაშორისო ფონდებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ანა ბენაშვილმა წარადგინა.

ილია მარტყოფლიშვილი

რეგიონებში ნაგავსაყრელების მოდერნიზება იგეგმება



2024 წელს რეგიონებში ნაგავსაყრელები დაიხურება. ამის შესახებ მედიას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის საპასუხოდ აცნობეს. უწყების ინფორმაციით, რუსთავის ნაგავსაყრელის დახურვაზე 3 699 503 ლარი დაიხარჯება, თიანეთის - 110 000 ლარი, ხოლო ონის - 150 000 ლარი.

ამავე დოკუმენტის მიხედვით, მიმდინარე წელს იგეგმება ამბროლაურისა და ბოლნისის ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მშენებლობა. დოკუმენტის მიხედვით, თითოეულზე 1

000 000 ლარის ბიუჯეტია გათვალისწინებული. გარდა ამისა, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ნაგავსაყრელების რეაბილიტაცია იგეგმება: დედოფლისწყაროში, თელავში, ლაგოდეხში, ყვარელში, ჩოხატაურში, ამბროლაურში, მარნეულში, გორში, ხაშურში, ასპინძაში, თერჯოლაში, საჩხერესა და დუშეთში. თითოეული პროექტი 110 000 ლარიდან 750 000 ლარამდე დაჯდება.

შეგახსენებთ, დედოფლისწყაროს ნაგავსაყრელი 2015 წლის მეორე ნახევრიდან ცენტრალიზებული სისტემით ამოქმედდა, რომელსაც მყარი ნარჩენების მართვის კომპანია მართავს.

ხის სათამაშოების საწარმო „ცაცია ოსტატის“ გეგმები

„სათამაშოების სერტიფიცირება ძვირი სიამოვნებაა“,- ამის შესახებ დედოფლისწყაროში მოქმედი ხის სათამაშოების მწარმოებელი საწარმო „ცაცია ოსტატის“ დამფუძნებელმა, შოთა შანშიაშვილმა განაცხადა.

საქმე ისაა, რომ წლის დასაწყისში, კომპანიამ სააგენტოს „ანარმოე საქართველოში“ ორგანიზებითა და USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის მხარდაჭერით, სათამაშოების უმსხვილეს საერთაშორისო გამოფენაში - Spielfwarenmesse 2024-ში მიიღო მონაწილეობა, სადაც 3 ევროპული კომპანია, კერძოდ 2 გერმანული და 1 ესპანური კომპანია გაიცინო, რომლებთანაც მოლაპარაკებები დაკონტრაქტებამდე იყო მისული. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ კომპანია ამ დრომდე ხის სათამაშოების

საწარმოებლად საჭირო სერტიფიცირებას არ ფლობს, შეთანხმება დროებით დააპაუზა.

შანშიაშვილის ინფორმაციით, კომპანიებთან საქმიანი კომუნიკაციის დაპაუზების მიუხედავად, მათთან პერიოდული კომუნიკაცია მაინც აქვთ. მისივე თქმით, ისინი „ცაცია ოსტატის“ სერტიფიცირებას ელოდებიან. ამასთან, კომპანია კოლექციის მუშაობის პროცესშია და რეზენდინგს ახორციელებს.

„პროდუქციის გაუმჯობესებაზე მუშაობას არ ვწყვეტთ. მოლაპარაკება გვაქვს თურქეთის ლაბორატორიასთან, რომლებიც პროდუქციის სერტიფიცირებას ახორციელებენ. ისინი უმაღლეს შეფასებას გვაძლევენ, რომელიც ევროპის ბაზარზე ვალიდური იქნება და ევროპის მასშტაბით ექსპორტის უპრობლემოდ განხორციელების საშუალებას

მოგვცემს. შეფერვებებს ფაქტობრივად გავანულებთ.“

„ანარმოე საქართველოში“ გრანტის გამოყენებას ვაპირებ ამ სერტიფიცირების მისაღებად, რადგან საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. 1 მოდელი სათამაშოს სერტიფიცირება, დაახლოებით 350-500 დოლარამდე ჯდება. თითო კოლექციაში კი, დაახლოებით 15-20 სათამაშო უნდა იყოს, რაც დაახლოებით 7000-8000 დოლარის ღირებულებისაა. ამ დროისათვის, 10 მოდელი სრულად დახვეწილია. სერტიფიცირებას კი დაახლოებით თვე-ნახევარი სჭირდება“, - აცხადებს შანშიაშვილი.

მისივე განმარტებით, საერთაშორისო გამოფენები ყოველწლიურად იმართება. მომდევნო გამოფენა, 2025 წელს, იანვარშია დაგეგმილი. აქედან გამომდინარე, შანშიაშვილი იმედოვნებს, რომ პროდუქციის კოლექციის დასრულებას და სერტიფიცირებას მოასწრებენ, რათა გამოფენაზე სრულად მომზადებული ნარდგენენ.

ინფორმაციისთვის, „ცაცია ოსტატის“ ხის სათამაშოების მწარმოებელი საწარმო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარეობს. საწარმოს მოსაწყობად, ინვესტიციის მოცულობამ 100,000 ლარზე მეტი შეადგინა, მათ შორის, სოფლის განვითარების პროგრამის თანადაფინანსება 79,000 ლარია.





ნია. დედისერთა იყო, მაგრამ ოჯახს უჭირდა და ვერ ანებებდნენ. **ლიზა აბია-თიარი**, დედა: „შრომა უყვარდა, დაუზარელი იყო, მუდამ გვერდში მედგა, დიდი ადამიანი იყო შრომობდა, რომ წამოიზარდა (ცული აილო ხელში, მეზობლებს შემის ჩეხვაში ეხმარებოდა, ერთი-ორი კაპიკი რომ დარჩენოდა... ძალიან თბილი და მოსიყვარულე ბავშვი იყო, ძალიან უყვარდა მეგობრები...“

„ჩვენ სიკვდილის არ გვეშინია, ჩვენ სამშობლოს დასაცავად მივდივართ!“ — ასე დაუძახებენ დედებს გიორგი აბიათარი და გოჩა ილურიძე ჯარში წასვლისას, უკვე სამარტო ტაქსიდან... გიორგი აბიათარი დედისერთაა, სამხედრო სავალდებულო სამსახური არ ეხება. 18 წელი შეუსრულდება თუ არა, მინც წავა... 2 თვეც არ იმსახურებს — ომი დაიწყო. მუხლზე პრობლემები ჰქონდა, ომში არ მიჰყავთ, კომისია უნდა გაიარო. პირველი მანქანიდან ჩამოსვამენ. მეორე მანქანაში ავა და ომში მინც წავა... გიორგი აბიათარი კოვჩოში დაიბადა 1990 წლის 5 აპრილს, იზრდებოდა დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ ჯაფარიძეში. დაღუპული ბავშვობა არ ჰქონდა.

დედის გულმა იგრძნო თავს დამტყდარი უბედურება. „ჩემმა დისშვილმა შემომპაპრა, გიორგი დაჭრილია... 11 საათზე დარეკავენ და გვეტყვიან სიმართლეს. თურმე 11 საათს ელოდებიან, რომ მოასვენონ გიორგი. მთელი სოფელი ჩემთან სახლში იყო, მთელი სოფელი ფეხზე იდგა, ერთად მოასვენეს ჩემი შვილი და ილურიძე“-ისხენებს გიორგის დედა. 14 აგვისტოს დაგვრძალეთ ჯაფარიძეში. ბიჭები ხშირად ადიან გიორგის საფლავზე... ძალიან რთულია და გაუსაძლისი გიორგის გარეშე ცხოვრება. ძალიან უნდოდა, რომ სამხედრო ბილეთი მალე აეღო და სასაზღვრო პოლიციაში დაეწყო მუშაობა, ძალიან უნდოდა, რომ ფორმა სცემოდა... ძალიან თბილი და კარგი დედაშვილობა გვექონდა. შვილი რომ მეყოლება, აუცილებლად შენი სახელი უნდა დავარქვაო, მიპირებოდა... გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოებული ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით. რაიონის ცენტრში გაკეთდა მემორიალური დაფა და მოედანი, რომელსაც „სამშობლოსთვის თავდადებულის“ სახელი დაერქვა... ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალია, მაგრამ არა, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მენატრება ჩემი შვილი... ერთადერთი ისაა მაცოცხლებს, რომ მისი სულისთვის ვილოცო. მე გამწარებული, მაგრამ მინც ამაყი დედა ვარ, რადგან გმირი გამიზრდა.



გოჩა ილურიძე სულ 18 წლის ბიჭი იყო, სამშობლოს დასაცავად რომ გაიწვიეს და წავიდა ჯარში, უფროს ძმას რჩევაც ჰქონდა, კონტრაქტი ხომ არ გავაფორმო. ძმამ სპეცრაზმში შევსლა ურჩია. შევიდა. მტერმა მხოლოდ 2 თვე მისცა... და არც დიდი სიყვარული მოსვლა აცადა, რომელსაც ელოდა... ომი დაიწყო... 8 აგვისტო. ერედევი. სპეცრაზმელები ჩრდილოში ისვენებენ. გადაღობები არიან, ორი დღეა ფეხით მოდიან. გადაქანცულებს იმედი უნთქონა გულს — იმედი გამარჯვებისა. კასეტური ბომბი... რამდენიმე წამი... აფეთქება... გოჩა იქვე, იმ წამსვე დაიღუპა... გოჩა ილურიძე 1990 წლის 14 თებერვალს დაიბადა. იზრდებოდა დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ ზემო ქედში. **მანანა ყაზანაშვილი**, დედა: „ძალიან სერიოზული ბავშვი იყო, ჭკვიანი, შრომისმოყვარე, ერთი ნუთი ვერ ჩერდებოდა, სულ შრომობდა და რაღაცას აკეთებდა. უყვარდა სპორტი, ჭიდაობაზე სიარული უნდოდა, ვერ ვატარებ... ვერ შევუწყეთ ხელი... თავისით ვარჯიშობდა სახლში, „გირებით“, „ტურნიკებ“... რაც არ უნდა დალილი ყოფილიყო, მინც გამოხახავდა დროს და რამდენიმე ნუთი ვარჯიშობდა. სწავლით საშუალოდ სწავლობდა, სკოლა რომ დაამთავრა, სწავლის გაგრძელება არ უფიქრია. ჯარში უნდა წასვლა, ჩემი უფროსი ბიჭი ვაზიანში მსახურობს, კონტრაქტორია და მის შემხედვარეს, გოჩასაც თავიდანვე განზრახული ჰქონდა, სავალდებულო მოხდის მერე, ჯარში დარჩენა კონტრაქტით. ძალიან მშრომელი იყო. არაფერს თავილობდა, ორთაჭალაში ცხივებს რომ ანგრევდნენ, იქაც მუშაობდა. სოფელში ჯარზე მუშაობდა. თავისი ორი კაპიკი ყოველთვის ჰქონდა. ის კი არა, ჩვენც გვარჩენდა თავისი შემოსავლით... ბოლოს 6 აგვისტოს ველაპარაკე, დაგვიძალა, მომაცუყა მარნეულში ვართ ნაწილი, ვვარჯიშობთო. ჩვეულებრივ გველაპარაკა, არაფერი ისეთი არ უთქვამს, რომ რამეზე დავეჭვებულყავი. უთქმელი ბავშვი იყო, არაფრის თქმა არ უყვარდა... რაც ჯარში წავიდა, მას მერე აღარ მინახავს... გოჩას დაღუპვის ამბავი გამგებას შეატყობინეს, მაგრამ ვერაფერს ბუდვდა ეთქვა დედისთვის — შვილი აღარ გყავსო. უამრავი ხალხი იყო ჩვენს ეზოში, არ მეუბნებოდნენ სახელს, რომელი დაიღუპა... მერე ჩემმა ნათლიამ მითხრა: გოჩა აღარ გყავთო... გიორგის 10 აგვისტოს გავაგებინეთ ძმის დაღუპვა, ბიძამ დაურეკა და ჩამოიყვანეს. 14 აგვისტოს დავკრძალეთ გოჩა... არ გადის ნუთი და წამი, რომ თვალი მისი სახე არ მედგას... გოჩას მშობლიურ სოფელში, ყოველ 9 აგვისტოს, გოჩას სახელობის ტურნირს ატარებენ ფეხბურთში...

თეიმურაზ ბერიძე გიორგი მარსაგიშვილი



შინდისში, მტრის ალყაში მოქცეულს, სიცოცხლე სწაპირმა მოუსწრაფა. სწორედ იქ, სადაც გიორგი ზოიძემ და მისმა ნათლიამ აიფეთქეს თავი, რომ ტყვეობაში არ ჩავარდნილიყვნენ. შინდისი შინდისურად იმ დღეს გმირების სისხლით შეიღება. თეიმურაზ ბერიძე დაჭრილი ებრძოდა მტერს, სანამ სამიზნე არ დაადეს. 1974 წლის 17 მაისს დაიბადა ხულოს რაიონში, 2008 წლის 11 აგვისტოს კი შინდისში დაეცა. **მანანა ფუტყარაძე**, მეუღლე: „ბოლოს 11 აგვისტოს დაგვირეკა. მითხრა: სამშვიდობოზე ვარ გამოსული, თუმცა, ისიც მითხრა, მამაჩემს და ბავშვებს მიხედეთ... თურმე ალყაში იყო, შინდისში, ზოიძემ და მისმა ნათლიამ, რომ აიფეთქეს თავი იმ ტერიტორიაზე. საათნახევარი ყოფილან ალყაში... მერე მითხრეს, როცა ბოლოს დაგვირეკა და გითხრა სამშვიდობოს ვარო, მიმედ დაჭრილი ყოფილა და კედლებოდა... რკინიგზასთან ახლოს დაღუპულა. მეუღლეს საუბარი უჭირს, დღესაც ცრემლები ახრბობს, როცა იხსენებს: „ერთმანეთი კახეთში გავიცანით, სოფელ ფიროსმანში. სტუმრად ვიყავი ჩემს

ძმასთან ჩასული და გაცნობიდან 25 დღეში მომიტაცა. რომ გავიცანი თავიდანვე მომეჩონა, შეეკმენით ოჯახი. ძალიან ბედნიერები ვიყავით... წლისთავზე შეგვეძინა ვაჟი, მაგრამ წლისახევრის რომ იყო, ბავშვს წნევა დადარტყა და მეტყველება წაართვა. იქიდან მოყოლებული მისი ფიქრი და სამომავლო გეგმები ბავშვის მკურნალობა იყო, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ბავშვისთვის გვემკურნალა. გეგმები ბევრი ჰქონდა, მაგრამ აღარ დასცალდა უბედურს... ბიჭის მერე გოგო შეგვეძინა. ძალიან მოსიყვარულე მამა იყო, ჩემზე მეტად გამოხატავდა შვილების სიყვარულს და ხანდახან მგონია, რომ ჩემზე მეტად შვილები უყვარდა... ძალიან უყვარდა სიურპრიზების კეთება და ამით ყოველთვის გვანებივრებდა, მეც და ბავშვებსაც. კონტრაქტით სამსახური 2006 წელს გადაწყვიტა. ეს გადაწყვეტილება კი თავად მიიღო. არც ვინმე ახლობელი გვყავდა, რომ ვინმეს შეეგულანებინა და არც ნაცნობი, რომ ხელი შეეწყო. ერთ დღესაც ადგა, საბუთები შეაგროვა და განაცხადი შეიტანა. გაუმართლა და მიიღეს. მამინევე სენაში გადაანაწილეს. მეორე ქვეთ ბრიგადაში იყო. წოდებით- კაპრალი. მისი სამომავლო გეგმებიც ჯარს უკავშირდებოდა. მართალია ბოლო პერიოდში ცოტა გადაღობილი იყო, მაგრამ სულ იმას ამბობდა, ამ კონტრაქტს რომ დავამთავრებ, კიდევ უნდა გავაგრძელო, მაგრამ ისიც ვერ დამთავრა და დაგვტოვა მარტო... სანამ ომი დაიწყებოდა, ქობულეთში ვისვენებდით. სენაკიდან ჩამოდიოდა ხოლმე, ჩვენთან ხშირად იყო. ბოლოსაც ქობულეთიდან 7 აგვისტოს გავაცოცხლე. სახლიდან, რომ გავლოდა, ორჯერ შემოვრბოვდა ბავშვები


ჩაკოცნა და მეც გამოემშვიდობა. ორ დღეში დაგბრუნდები, შევბუღებას ავიღებ და კახეთში წავიდეთო, მაგრამ ომი დაიწყო და... იმის მერე თვალთ აღარ მინახავს... ტელეფონით 8 აგვისტოს ველაპარაკე და 9 აგვისტოს ვერაფრით ვერ ვუკავშირდებოდი, დაკარგული იყო. ამ დროს ცხინვალში ყოფილა. 10-ში საღამოს დაგვირეკა, დაგვამშვიდა. უკანასკნელად კი 11-ში ველაპარაკე, „სამშვიდობოს ვარო“- თურმე მტრის ალყაში ყოფილა. გიორგი და ვინმე რეკვა იმ სატელეფონო საუბრის შემდეგ და ვლარ ვუკავშირდებოდი, გული ძალიან ცუდს მიგრძობდა. რამდენიმე დღე გაურკვევლობაში და მოლოდინში ვიყავი ან ახლა დარეკავს ან ახლამეთქი, მაგრამ უკვე ცოცხალი აღარ იყო... 16 აგვისტოს გავიგეთ, რომ დაიღუპა. პატრარქი რომ შევიდა მიცვალებულების გამოსაცხად, ჩემი მეუღლეც მამის გადმოსვენეს. მალევე ამოიცნეს და პირდაპირ კახეთში ჩამოსვენეს. თეიმური რომ გარდაიცვალა, ჩვენი პატარა გოგონა 5 წლის იყო... ბედნიერი არა ვარ, მაგრამ ამაყი ვარ, რომ გმირის მეუღლე მქვია და გმირის შვილებს ვზრდი.“ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული გმირი თეიმურაზ ბერიძე 5 წლის შემდეგ, მშობლიურ მხარეში გადმოსვენეს და ფერის პანთეონში დაკრძალეს. კაპრალი თეიმურაზ ბერიძე 2008 წლის 11 აგვისტოს შინდისში დაიღუპა, იგი საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 6 იანვრის N7 განკარგულებით დაჯილდოებულია მედილით „მხედრული მამაცობისთვის“, მისი სახელის უკვდავსაყოფად კი ბათუმის თვითმმართველობამ 2012 წლის 8 აგვისტოს, მახინჯაურში ერთ-ერთ ქუჩას თეიმურაზ ბერიძის სახელი მიანიჭა. თეიმურაზ ბერიძეს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი დარჩა, მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახი საცხოვრებლად აჭარაში გადავიდა, სწორედ ოჯახის მოთხოვნით დაღუპული სოფელ ფიროსმანიდან ბათუმში გადაასვენეს.



გიორგი მარსაგიშვილი, ზამო ძედალი ახალგაზრდა, განსაკუთრებულ დავალებათა მისაღებ სამმართველოს სწრაფი რეაგირების მოძრაობა ათეულის მეთაურის მოვალეობა, იმ გმირებს შორისაა, რომელთა კვალიც ცხინვალში იპარბა. საქართველოს კანონმდებლობით, თუ ადამიანი ორი წლის განმავლობაში ვერ მოიძებნა, გარდაცვლილად ცხადდება. შესაბამისად, კანონით, გიორგი მარსაგიშვილიც რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულად არის შერაცხული, თუმცა მისი ცხედარი აღმოჩენილი ვერ იქნა და მისი გაუჩინარებაც ბურუსითაა მოცული. გიორგი მარსაგიშვილს შს სამინისტროში მუშაობა სამი თვის დაწყებული ჰქონდა. განსაკუთრებულ დავალებათა გ-3 სამმართველოში კონკურსის წესით შეირჩა. ოჯახს იგი 2008 წლის ივლისიდან აღარ უნახავს. ომში წასვლამდე ერთი თვე კოდორში იყო მივლინებით. თბილისში 7 აგვისტოს დაბრუნდა და სახლში მისვლაც ვერ მოასწრო, რადგან შს სამინისტროში, ცხინვალში შექმნილი ვითარების გამო, ყაზარმული მდგომარეობა გამოაცხადა. გიორგი 1981 წლის 28 ოქტომბერს დაიბადა დედოფლისწყაროში. პატრიოტი ახალგაზრდა აგვისტოს ომში პირველივე დღეებში უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მას მეუღლე და ერთი შვილი დარჩა, ლიზი. **ალინა მარსაგიშვილი**, გიორგი მარსაგიშვილის მეუღლე: „გიორგი ერთი თვე ნახავს არ გვყავდა. კოდორში იყო. იქიდან ჩამოსვლა მოასწრო, სანამ სიტუაცია გართულდებოდა, მაგრამ ჩამოვიდა თუ არა, ყაზარმული გამოცხადდა. სახლში მოსვლა ვეღარ მოასწრო, წავიდა ომში და იქიდან აღარ დაბრუნებულა. დიას, ეს იყო ძალიან დიდი გმირობა. ის მოხეხვი იყო, სისხლი და ჯიშო მაინც თავისას ვპრებამ, ეს გამაძვირებს მას ბიწვი ჰქონდა. შიშილამ ბარძიგაძე კი დაეცა სავრთხას, გოლო პერიოდში აპირატაშული ჰქონდა, მი მთავარი უნდა დაეპირაო. - როგორ ფიქრობთ, მისმა ქვეყანამ დაუფლავა გმირობა თქვენს მეუღლეს? - დიას, ძალიან დიდ ყურადღებას ვგრძნობთ შს სამინისტროს მხრიდან. საჩუქრად ბინა გადმოგვცეს, დამასაქმეს. ბავშვზე ზრუნვანაც, კარგ სკოლაში მიიყვანეს და ყოველთვის იზიარებენ ჩვენს გასაჭირს და პრობლემებს. - როცა ადამიანს არა აქვს საფლავიც კი და ის ცხადდება გარდაცვლილად, ალბათ, ერთის მხრივ ძალიან მიძიმა, მაგრამ არის თუ არა ეს დამაიმედებელი გარემოება თქვენთვის? - როცა ადამიანს არ დაასაფლავებ, მაინც რაღაც გულის სიღრმეში არის და სანამ ვიცოცხლებთ, გვექნება იმედი, რომ ოდესმე გამოჩნდება.“

განათლების როლი ადამიანის ცხოვრებაში...

დასრულდა ერთიანი ეროვნული გამოცდები, მისი პირველადი შედეგები ქულების მიხედვით გამოქვეყნებულია, სულ რამდენიმე დღეში აპიტურინებები საპროცენტუალო შედეგებს ელოდებიან სპალირეპული ქულების სახით და შემდგომ უკვე ჩარიცხვას. განაგრძეოთ სიტყვით შემიძლია როგორც აპიტურინების დედა მამოვინილო საგამოცდო პროცესი.



არ ვიცი გასულ წლებში დეტალურად რა ხდებოდა, მაგრამ 2024-ის ერთიანი ეროვნული გამოცდების პროცესი იყო ძალიან მონსერტიგებული და ჰუმანური, მთლიანად მორგებული მოსწავლის საუკეთესო ინტერესებზე, გამორიცხავდა ყოველგვარ დამატებით სტრესს. პირველ გამოცდაზე რომ წავედით, მეტროდან ამოსულეხს, ტაქსი უნდა გავგეჩერებინა. ვხედავ, სპეციალურად, მხოლოდ საგამოცდო ცენტრებისთვის გამოყოფილ ავტობუსებს ბავშვებისთვის. იგივე ავტობუსები გვაკითხავდნენ გამოცდის დასრულების შემდეგ. თუ სხვა წლებში გამოცდის იყო პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ან საგამოცდო ბარათის დავინახებდით შემთხვევაში გამოცდაზე დაშვება, ახლა გამოგვიცხადეს, რომ ასეთ შემთხვევაში არ გვენერვოულა და შემდეგისთვის წარმოგვედგინა აღნიშნული დოკუმენტაცია. ამ ყველაფერს, მე, როგორც მშობელი, რომელიც დამოუკიდებლად დღით ადრე ვანსერიგებ დოკუმენტაციას და ვამზადებ, რომ თავი ავარიდოთ რაიმე გაუთვალისწინებელს, ნამდვილად ვაფასებ, როგორც ერთგვარ ჰუმანურ აქტს.

მთელი ისტორიის განმავლობაში ყველა ახალ ეტაპზე კაცობრიობა მუდმივად გამოთქვამდა უკმაყოფილებას განათლებაში შექმნილი მდგომარეობითა და სვამდა კითხვას - როგორ უნდა იყოს განათლება დღეს, როგორ უნდა ვითარდებოდეს იგი ხვალინდელი დღის მოთხოვნათა გათვალისწინებით? ძიების პროცესი, ისევე როგორც თვით კაცობრიობის განვითარება, განუწყვეტელია. რეფორმისტული იდეები გატაცებულეხს კი, უმეტეს შემთხვევაში გვაინყვებდა, არა განათლების „სუბიექტი“ თუ „ობიექტი“, არამედ პიროვნება, რომლის გამოც და რომლისთვისაც საერთოდ შეიქმნა ეს სისტემა - ბავშვი, მოსწავლე.

ლეკელ კოვკონენთან განსავლულ-ბასთან (ოქტანთან, გონებრივ განვითარებასთან) ერთად, ყოველთვის ითვლებოდა აღზრდილობა, სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბება.

განათლება მრავალმომცველი ცნებაა. ის არის პირობითული მიმართულება, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს. ეხსნება ადამიანის ფიზიკურ, ინტელექტუალურ და მორალურ უნარ-ჩვევების განვითარებას. ასევე, ადამიანის სოციალიზაციის პროცესში უნივერსალურად რომს ასრულებს. განათლებულობის აუცი-

განათლების დეფიციტის შედეგები ადრეული ასაკიდანვე თვალსაჩინოა. ბავშვი, რომელიც არ ვერ სწავლობს, თითქოს, გარყიულია თანაკლასელებისგან. მას აღიქვამენ არასრულფასოვნად. განსაკუთრებით, სკოლის ადრეულ კლასებში, როდესაც აკადემიურ მოსწრებას და სწავლას დიდი როლი აქვს. გერმანელი ფსიქოლოგის ე. მეცგერის აზრით, საჭიროა, რომ განათლების პროცესმა ჩამოაყალიბოს ახალგაზრდა თაობა არა მხოლოდ როგორც კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის მიღწევის მცოდნე და მომხმარებელი, მისგან ყოფითი პირობების გადავილების და სიამოვნების მიმღები, არამედ აუცილებელია, განათლების პროცესმა ყოველ ბავშვში პატივად ასაკიდანვე აღძრას შემოქმედების, არსებობის გაუმჯობესების

მოსწრება, რაც უდავოდ, იმის გარანტია მინც იქნება, რომ ბავშვი თვითგანვითარების სწორ გზაზე დგას.

ბავშვი, რომელიც განათლების გარეშე დარჩება, მას არ ექნება თვითგანვითარების, თვითრეალიზაციის და თვითრეზენცაციის შესაძლებლობა. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ის ადამიანია განათლებული, რომელმაც „ისწავლა თუ, როგორ უნდა ისწავლოს“, რომელმაც შეიძინა ადაპტირებისა და საკუთარი თავის შეცვლის უნარი, რომელმაც გააცნობიერა, რომ არანაირი ცოდნა არ არის ურყევი და უცვლელი, და მხოლოდ ცოდნის ძიების პროცესი გვაძლევს სიმყარის საფუძველს. შესაბამისად, ცოდნის/განათლების დეფიციტი ნეგატიურად აისახება ადამიანის უნარზე, ადაპტირება მოახდინოს სოციალურ გარემოში, შეიძინოს საკუთარი თავი, განსაზღვროს პიროვნული ხარვეზები და შეცვალოს ისინი.

ზოგი ეხსნება თვლის, რომ განათლება - ეს მხოლოდ მეთოდი, როგორ ავითვისოთ ცოდნა, ზოგიც განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას უნარ-ჩვევებზე; ბავშვი თვლის, რომ განათლება არის სულიერი შემოქმედება და მისი დაკავშირება რაიმე მათერიალურთან შეუძლებელია. ამ უკანასკნელის საპირისპიროდ, არიან ისეთები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ განათლება უბრალოდ მიზნის მიღწევის ყველაზე სწორი საშუალებაა. რა თქმა უნდა, არსაზოგს სხვა მოსაზრებებიც, სოლო ყველა ეს მოსაზრება სიმართლის მარცხალს შეიცავს. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, განათლება ის პირადად დაზვერდომი, რათა მათი სინათლე შემოვიტანოთ ჩვენს საზოგადოებაში.

